მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას მიმართვა
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს
ხათუნა გოგალაძეს

გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე დაგეგმილი პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მექანიზმის გაუმართაობის და ამის გამოსასწორებლად უმოკლეს ვადაში ზომების გატარების აუცილებლობის თაობაზე

21 იანვარი, 2014

მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ბოლო წლებში ჩამოყალიბებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა საზოგადოებას არ აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობებზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (რითიც საქართველოს მიერ აღებული არაერთი საერთაშორისო ვალდებულება ირღვევა).

დაგეგმილი საქმიანობების/პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირების არაეფექტურ, მაგრამ ერთადერთ შესაძლებლობას ითვალისწინებს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი. ამ მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასევე, იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება - ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად, პროექტების განმახორციელებლები, როგორც წესი, დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას 2014 წლის 1 იანვრამდე, გაზეთ „24 საათში“ აქვეყნებდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ინფორმირების ეს მეთოდი არაეფექტურია საზოგადოების, განსაკუთრებით კი, დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით; თუმცა, კვლავ ვიმეორებთ, ერთადერთია, რომელიც საშუალებას აძლევდა დაინტერესებულ პირებსა თუ ორგანიზაციებს, შეეტყოთ საქართველოში დაგეგმილი იმ პროექტების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე (მოგეხსენებათ, რომ არსებული მოწყობით, საზოგადოებას შეუძლია შეიტყოს ასეთი პროექტების განხორციელების შესახებ მხოლოდ მას მერე, რაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გასცემს სანებართვო დოკუმენტს - ანუ პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; 2012 წლის მაისამდე კი, ეს შესაძლებლობაც არ არსებობდა(!)).

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

საქმე იმაშია, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან გაზეთი „24 საათი“ აღარ გამოიცემა და ამდენად, საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების შესახებ, თუნდაც, ამ ერთადერთი და შეზღუდული გზით. გასაგებია, რომ კერძო კომპანიის მიერ გაზეთის (ამ შემთხვევაში, „24 საათი“) გამოცემა-არგამოცემის საკითხი არ შედის თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების კომპეტენციაში, მაგრამ უდავოა ისიც, რომ სამინისტროს უშუალო კომპეტენციაა საზოგადოების ინფორმირების ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ კერძო კომპანიის(!) ფუნქციონირების შესაძლებლობებზე.

სწორედ თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების უშუალო კომპეტენციაში შედის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ საქმიანობებზე (პროექტებზე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა - ორჰუსის კონვენციით გარანტირებული ამ უფლების რეალიზებისთვის კონკრეტული მექანიზმების დანერგვა. სამწუხაროდ, მიუხედავად არაერთი საერთაშორისო თუ საარჩევნო და სამთავრობო პროგრამებით აღებული ვალდებულებისა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები ამ სფეროში სიტუაციის გასაუმჯობესებლად და არაფერი გააკეთა 2005-2012 წლებში ჩამოყალიბებული მანკიერი, არადემოკრატიული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი სისტემის შესაცვლელად.

მოგმართავთ თხოვნით, უმოკლეს ვადაში გამონახოთ ამ წერილში აღწერილი პრობლემური ვითარებიდან გამოსვლის გზები და გაატაროთ ღონისძიებები საზოგადოების ინფორმირების უზრუნველსაყოფად.

აქვე მოგიწოდებთ, ასევე უმოკლეს ვადაში გამოაქვეყნოთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურების გაუმჯობესებაზე მიმართული თქვენი სამინისტროს გეგმა-გრაფიკი.